# აბაშის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი

**2024 – 2027 წლები**

# შინაარსი


თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ ........ 3
ისტორია ........ 3
მდებარეობა ........ 3
ფართობი ........ 3
რელიეფი ........ 4
მმართველობის ორგანოები ........ 4
მოსახლეობა ........ 5
ეკონომიკა ........ 5
საჯარო დაწესებულებები ........ 5
ღირშესანიშნაობები ........ 5
ბიუჯეტი ........ 6
თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები ........ 7
შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2022-2027 წლებში ........ 7
შემოსულობები ........ 7
გადასახდელები ........ 7
ბიუჯეტის ბალანსი ........ 9
2022-2023 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა ........ 9
2022 წლის ბიუჯეტის შესრულება ........ 9
2023 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა ........ 13
თავი III. აბაშის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში ........ 17
ინფრასტრუქტურის განვითარება ........ 17
დასუფთავება და გარემოს დაცვა ........ 20
განათლება ........ 21
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი ........ 24
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა ........ 33
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები ........ 45

# თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

## ისტორია

ახლანდელი აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შუა საუკუნეებში შედიოდა ჯერ მოხირისში, შემდეგ სამოქალაქოში. XV საუკუნის 70-იან წლებში მისი დიდი ნაწილი უშუალოდ სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროში შევიდა, ის ნაწილი კი, რომელიც მდინარეების ნოღელისა და რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, საჭილაოს ეკუთვნოდა. საჭილაოს ცენტრი იყო სოფელი ტყვირი. XVI საუკუნეში საჭილაოს საზღვარი დასავლეთით ეკის მთამდე აღწევდა, ჩრდილოეთით - ზანძამდე, სამხრეთით - გურიის მთებამდე, ხოლო აღმოსავლეთით მდინარე გუბისწყალამდე. 1613 წლიდან საჭილაოს სადავო სოფლები (სამეგრელოსა და იმერეთს შორის) სამეგრელოს სამთავროში შევიდა. ამ დროიდან ტერიტორიას საჭილაოს ნაცვლად საჭყონდიდლო ეწოდა და ეს სახელწოდება შენარჩუნდა 1803 წლამდე. 1858 წლიდან, რუსეთის მიერ სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ ეს ტერიტორია სენაკის მაზრაში შევიდა სუჯუნის საბოქაულოს სახით. 1930 წელს შეიქმნა აბაშის რაიონი, 1963 წლიდან აბაშას მიენიჭა ქალაქის სტატუსი. 2007 წლიდან აბაშის მუნიციპალიტეტი.

## მდებარეობა



აბაშის მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით ესაზღვრება მარტვილის, აღმოსავლეთით ხონისა და სამტრედიის, სამხრეთით სამტრედიისა და ლანჩხუთის, ხოლო დასავლეთით სენაკის მუნიციპალიტეტები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო და სარკინიგზო საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალები. უახლოესი საზღვაო ნავსადგური: ქ.ფოთი. ქ.აბაშის ცენტრიდან - 45კმ; უახლოესი აეროპორტი: ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი - 30კმ.

## ფართობი

აბაშის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 322.5 კმ² - ს. აქედან 207,74 კმ² სასოფლო — სამეურნეო დანიშნულებისაა, ტყეებს უჭირავს 16,31 კმ². მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოედინება მდინარეები რიონი, ცხენისწყალი და აბაშა; მცირე მდინარეებია: ნოღელა, კოვზა და ზანა. მუნიციპალიტეტის სამხრეთ ნაწილში, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიედინება მდინარე რიონი, აბაშისა და სამტრედიის საზღვარზე მიედინება რიონის მარჯვენა შენაკადი მდინარე ცხენისწყალი, ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდინარე აბაშა, რომელიც ერთვის ტეხურს.

**რელიეფი**



მუნიციპალიტეტში ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა. საშუალო წლიური ტემპერატურა 14°C. იანვრის ტემპერატურა 4.9°C, ივლისისა 27.0°C. აბსოლუტური მინიმუმი — 19°C, აბსოლუტური მაქსიმუმი — 39°C. ნალექების წლიური რაოდენობაა 1620 მმ.

აბაშის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში „სირიაჩქონის“ ჭაობია, რომელიც გურია-სამეგრელოს შორის რაიონისპირა ჭაობის გაგრძელებაა, გაყვანილია წყალსაწრეტი არხები.

ძირითადად გავრცელებულია ალუვიური კარბონატული ნიადაგი. ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში — სუბტროპიკული ეწერი, სამხრეთ-დასავლეთით, მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე, ჭაობიანი ნიადაგია. ძირითადი ლანდშაფტებია: 1. ვაკე-დაბლობი, კოლხური მცენარეულობით, ალუვიური და სუბტროპიკული ეწერი ნიადაგებით; 2. ჭალები მდელო-ტყის მცენარეულობით და ალუვიური ნიადაგებით.

**მმართველობის ორგანოები**

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 30 წევრისგან. მათგან 20 არჩეულია პროპორციული, ხოლო 10 მაჟორიტარული სისტემით. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს სამი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია, ესენია: იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია; საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისია; სოციალური, განათლების და კულტურის საკითხთა კომისია და აგრარულ და მიწის საკითხთა კომისია, 3 ფრაქცია - ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და აბაშა საქართველოსთვის.

აბაშის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპლიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასაწარმო, არაკომერციული იურიდიული პირებისა (ააიპ) და მუნიციპალური შპს-ის მეშვეობით.

**აბაშის მუნიციპალიტეტში 16 ტერიტორიული ერთეულია, ესენია:**

ადმინისტრაციული ერთეული აბაშა — ქალაქი აბაშა; ადმინისტრაციული ერთეული ნორიო — აბაშისპირი, მაცხოვრისკარი, ნორიო, საბოკუჩავო, საგვაზავო, ძიგური; ადმინისტრაციული ერთეული სუჯუნა — ეწერი, სუჯუნა, წალიკარი; ადმინისტრაციული ერთეული მარანი — მარანი, მარანჭალა; ადმინისტრაციული ერთეული პირველი მაისი — გაუწყინარი, თხმელარი, პირველი მაისი, ქვიშანჭალა; ადმინისტრაციული ერთეული ქოლობანი — ბულვანი, გუგუნაყათი, ქოლობანი; ადმინისტრაციული ერთეული ტყვირი — ტყვირი,

ცილორი; ადმინისტრაციული ერთეული ნაესაკოვო — გამოღმა კოდორი, ნაესაკოვო; ადმინისტრაციული ერთეული კეთილარი — გაღმა კოდორი, გულეიკარი, კეთილარი; ადმინისტრაციული ერთეული ზანათი — გამოღმა ზანათი, გაღმა ზანათი; ადმინისტრაციული ერთეული სამიქაო — მაიდანი, სამიქაო; ადმინისტრაციული ერთეული გეზათი — გეზათი, გულუხეთი; ადმინისტრაციული ერთეული ძველი აბაშა — ძველი აბაშა; ადმინისტრაციული ერთეული წყემი — წყემი; ადმინისტრაციული ერთეული ონტოფო — ონტოფო; ადმინისტრაციული ერთეული სეფიეთი — სეფიეთი.

## მოსახლეობა

აბაშის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა 2023 წლის მონაცემებით შეადგენს — 18 600 კაცს;

| აბაშის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2022 წლის მონაცემების მიხედვით | | |
|---|---|---|
| **დასახელება** | **მოსახლეობა** | **ფართობი (კვ. კმ)** |
| სულ საქართველო | 3,688.6 | 69,700 |
| სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონი | 301.2 | 7,468.2 |
| აბაშის მუნიციპალიტეტი | 18.6 | 322.5 |
| პროცენტი საქართველოსთან | 0,005% | 0,46% |
| პროცენტი რეგიონთან | 0.063% | 4,3% |

## ეკონომიკა

წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, მათ შორის მიწათმოქმედება და მეცხოველეობა. მისდევენ ასევე მემცენარეობას, მებოსტნეობა-მებაღეობას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის სამხრეთ კავკასიის რკინიგზის მაგისტრალი.

## საჯარო დაწესებულებები

აბაშის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები. მათ შორისაა:

- 23 საჯარო სკოლა, სადაც სწავლობს 2494 მოსწავლე;
- 20 საბავშვო ბაღი - სააღმზრდელო პროცესს გადის 530 ბავშვი;
- 1 კულტურის სახლი - წრეების პროგრამებზე მონაწილეობს 171 აღსაზრდელი;
- 1 ხელოვნების სკოლა - წრეების პროგრამებზე მონაწილეობს 246 აღსაზრდელი;
- 1 მთავარი ბიბლიოთეკა, 17 სოფლის ბიბლიოთეკები და 5 სოფლის კლუბი
- 2 მუზეუმი: სიმონ ჩიქოვანისა და კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის მუზეუმი
- 1 სპორტული ცენტრი - სპორტის 11 სახეობას ეუფლება 230 ბავშვი;
- 1 საფეხბურთო კლუბი

## ღირშესანიშნაობები

აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დგას V საუკუნის სეფიეთის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია, ტყვირის მაცხოვრის სახელობის ეკლესია,

სუჯუნის წმინდა გიორგის სახელობის XVII - XIX საუკუნის ეკლესია, ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი; კადარის ეკლესია, გულეიკარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია; სიმონ ჩიქოვანის მუზეუმი; მწერალ-აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმი.

## ბიუჯეტი

აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი შეადგენს 20.2 მლნ ლარს. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა მუნიციპალიტეტის ბოლო წლების ბიუჯეტების მაჩვენებლებს შორის. ბიუჯეტის შემოსულობების 61.0% (12.3 მლნ ლარი) მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები შეადგენს. მათ შორის, აღსანიშნავია დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომელზეც საკუთარი შემოსავლების დიდი ნაწილი (8.2 მლნ ლარი) მოდის. არასაკუთარი შემოსავლები ძირითადად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.



## თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2022-2027 წლებში

### შემოსულობები

2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებთან შედარებით აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2024-2027 წლებში მნიშვნელოვნად იცვლება, გამოიხატება ზრდის ტენდენცია დამატებული ღირებულების გადასახადში, ხოლო სხვა შემოსავლების პროგნოზის გაანგარიშებისას მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის არსებული პროგნოზები და ამ შემოსავლის სახეობებში ბოლო წლების არსებული ტენდენციები.

**აბაშის მუნიციპალიტეტის შემოსულობები ძირითადი კატეგორიების მიხედვით 2022 – 2027 წლებში**

*ათასი ლარი*

| დასახელება | 2022 ფაქტი | 2023 გეგმა | 2024 გეგმა | 2025 პროგნოზი | 2026 პროგნოზი | 2027 პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები სულ** | **18017.9** | **20142.8** | **13294.2** | **11982.1** | **12831.9** | **13828.8** |
| შემოსავლები | 16277.8 | 17744.4 | 10694.2 | 11782.1 | 12631.9 | 13566.1 |
| გადასახადები | 8473.1 | 9339.6 | 10138.7 | 10926.1 | 11705.9 | 12559.1 |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 7221.8 | 8139.6 | 8838.7 | 9626.1 | 10405.9 | 11259.1 |
| ქონების გადასახადი | 1251.3 | 1200.0 | 1300.0 | 1300.0 | 1300.0 | 1300.0 |
| გრანტები | 7185.6 | 7874.8 | 0.0 | 275.0 | 280.0 | 300.0 |
| საერთაშორისო ორგანიზ. მიღებული გრანტები | | | | | | |
| გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან | 7185.6 | 7874.8 | | | | |
| მიზნობრივი ტრანსფერი | 579.4 | 730.7 | 0.0 | 275.0 | 280.0 | 300.0 |
| სპეციალური ტრანსფერი | | 1610.0 | | | | |
| სხვა | | 286.0 | | | | |
| კაპიტალური ტრანსფერი | 6606.2 | 5248.1 | | | | |
| რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | | | | | | |
| სხვა შემოსავლები | 619.1 | 530.0 | 555.5 | 581.0 | 646.0 | 707.0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 99.2 | 1467.6 | 2600.0 | | | |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენება) | 1640.9 | 930.8 | | 200.0 | 200.0 | 262.7 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვება) | | | | | | |

### გადასახდელები

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2024-2027 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის

განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. აბაშის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

## აბაშის მუნიციპალიტეტის გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით 2022 - 2027 წლებში

*ათასი ლარში*

| დასახელება | 2022 ფაქტი | 2023 გეგმა | 2024 გეგმა | 2025 პროგნოზი | 2026 პროგნოზი | 2027 პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გადასახდელები სულ** | **17081.0** | **20142.8** | **13294.2** | **11982.1** | **12831.9** | **13828.8** |
| ინფრასტრუქტურის განვითარება | **8474.3** | **8557.6** | **2385.6** | **1384.0** | **1888.0** | **2198.0** |
| დასუფთავება და გარემოს დაცვა | **378.5** | **457.8** | **470.0** | **400.0** | **450.0** | **450.0** |
| განათლება | **2122.6** | **2504.1** | **2415.8** | **1955.5** | **1955.5** | **2079.0** |
| კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი | **1297.1** | **1858.2** | **1983.0** | **1504.5** | **1504.5** | **1604.5** |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | **791.2** | **1172.4** | **785.5** | **969.8** | **997.8** | **1050.8** |
| მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | **4017.3** | **5592.7** | **5254.3** | **5768.3** | **6036.1** | **6446.5** |

## ბიუჯეტის ბალანსი

### აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი 2022 –2027 წლებში

*ათას ლარში*

| დასახელება | 2022 ფაქტი | 2023 გეგმა | 2024 გეგმა | 2025 პროგნოზი | 2026 პროგნოზი | 2027 პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **I. შემოსავლები** | **16277.8** | **17744.4** | **10694.2** | **11782.1** | **12631.9** | **13566.1** |
| გადასახადები | 8473.1 | 9339.6 | 10138.7 | 10926.1 | 11705.9 | 12559.1 |
| გრანტები | 7185.6 | 7874.8 | 0.0 | 275.0 | 280.0 | 300.0 |
| სხვა შემოსავლები | 619.1 | 530.0 | 555.5 | 581.0 | 646.0 | 707.0 |
| **II. ხარჯები** | **9974.2** | **13056.6** | **12512.3** | **11721.1** | **12097.1** | **12864.8** |
| შრომის ანაზღაურება | 2636.9 | 3485.8 | 3697.3 | 4203.9 | 4614.3 | 5005.0 |
| საქონელი და მომსახურება | 1662.6 | 2091.6 | 1347.7 | 1388.9 | 1252.5 | 1240.0 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| პროცენტი | 25.4 | 26.0 | 20.0 | 27.0 | 27.0 | 0.0 |
| სუბსიდიები | 4637.7 | 5565.2 | 6575.3 | 5156.0 | 5235.0 | 5608.5 |
| გრანტები | 0.0 | 30.0 | 30.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 633.5 | 674.1 | 674.3 | 751.3 | 774.3 | 817.3 |
| სხვა ხარჯები | 378.1 | 1183.9 | 167.7 | 194.0 | 194.0 | 194.0 |
| **III. საოპერაციო სალდო** | **6303.6** | **4687.8** | **-1818.1** | **61.0** | **534.8** | **701.3** |
| **IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **6956.3** | **5566.6** | **-1868.1** | **209.0** | **682.8** | **964.0** |
| ზრდა | 7055.5 | 7034.2 | 731.9 | 209.0 | 682.8 | 964.0 |
| კლება | 99.2 | 1467.6 | 2600.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **V. მთლიანი სალდო** | **-652.7** | **-878.8** | **50.0** | **-148.0** | **-148.0** | **-262.7** |
| **VI. ფინანსური აქტივების ცვლილება** | **-704.0** | **-930.8** | **0.0** | **-200.0** | **-200.0** | **-262.7** |
| ზრდა | 936.9 | | 0.0 | | | |
| ვალუტა და დეპოზიტები | 936.9 | | 0.0 | | | |
| სესხები | | | | | | |
| კლება | 1640.9 | 930.8 | 0.0 | 200.0 | 200.0 | 262.7 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 1640.9 | | 0.0 | | | |
| სესხები | | | | | | |
| აქციები და სხვა კაპიტალი | | 930.8 | 0.0 | 200.0 | 200.0 | 262.7 |
| **VII. ვალდებულებების ცვლილება** | **-51.3** | **-52.0** | **-50.0** | **-52.0** | **-52.0** | **0.0** |
| კლება | 51.3 | 52.0 | 50.0 | 52.0 | 52.0 | 0.0 |
| საშინაო | 51.3 | 52.0 | 50.0 | 52.0 | 52.0 | 0.0 |
| სესხები | | | | | | |
| სხვა კრედიტორული დავალიანებები | | | | | | |
| **VIII. ბალანსი** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |

## 2022 - 2023 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა

### 2022 წლის ბიუჯეტის შესრულება

#### 2022 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

აბაშის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის № 12 დადგენილებით და განისაზღვრა 8615.1 ათასი ლარის ოდენობით.

შემდგომ, საფინანსო წლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილ იქნა ცვლილებები საკრებულოს ნორმატიული აქტებით, რაც ეხებოდა: გრანტების სახით გამოყოფილი თანხების, წლის დასაწყისში არსებულ ვალდებულებათა ქვეშ მყოფი და თავისუფალი თანხების ბიუჯეტში ასახვას, ასევე

ახალი კორონავირუსის გავრცელების შედეგად ეკონომიკის ფუნქციონირებაში გამოწვეული შეფერხებების შესაბამისად ბიუჯეტის ცვლილებას

განხორციელებული ცვლილებების შედეგად წლის ბოლოსათვის ბიუჯეტის დაზუსტებულმა მოცულობამ მთლიანობაში შეადგინა 18267.6 ათასი ლარი, მათ შორის საკუთარი შემოსავლები 10453.7 ათასი ლარი.

**გადასახადების** სახით მობილიზებულია 8473.1 ათასი ლარი, საპროგნოზო მაჩვენებელი დაგეგმილი იყო 8340.0 ათასი ლარი; წინა წელთან შედარებით (ფაქტი – 6993.0 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 1 347.0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. აღნიშნული გამოწვეულია გადაჭარბებით ქონების, სხვა შემოსავლების და დამატებული ღირებულების გადასახადების შემოსულობებით, აკუმულირებული თანხის უდიდესი ნაწილი სხვა შემოსავლებზე მოდის 213.9 ათასი ლარით მეტი შემოსავალი, ქონების გადასახადზე მოდის - 51.2 ათასი ლარით მეტი, ხოლო 81.0 ათასი ლარით მეტი შემოსავალი დაფიქსირდა დამატებული ღირებულების გადასახადით;

**გრანტების** სახით მიღებულია 7185.7 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი – 579.4 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიღებულია - 6606.3 ათასი ლარი;

**სხვა შემოსავლების** სახით მობილიზებულია 619.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 597.8 ათასი ლარის 103.6 %-ია.

**არაფინანსური აქტივების კლებიდან** 2021 წელს მობილიზებული იქნა 99.2 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (84.6 ათასი ლარის) 117.0 %-ია. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 12.5 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან - 86.7 ათასი ლარი;

**ფინანსური აქტივების კლების** სახით ასახულ იქნა 1640.8 ათასი ლარი;

**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებზე (ორგანიზაციული კოდი 01 00) ნაცვლად გეგმიური 4261.9 ათასი ლარისა გაიხარჯა 4017.4 ათასი ლარი, ე.ი. 94%**

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა: 1. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობა (მუნიციპალიტეტის საკრებულო - 1067.4 ათასი ლარით, მუნიციპალიტეტის მერია - 2559.5 ათასი ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური- 100.5 ათასი ლარი; საერთო დანიშნულების ხარჯები - 290.0 ათასი ლარი.

**მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა:**

| **აბაშის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში** (ათას ლარებში) | | |
|---|---|---|
| **დასახელება** | **2022 წელი** | |
| საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 4017.3 | 94% |
| ეკონომიკური საქმიანობა | 6744.0 | 91% |
| გარემოს დაცვა | 378.5 | 97% |
| საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 1634.4 | 97% |
| ჯანმრთელობის დაცვა | 444.4 | 94% |
| დასვენება და კულტურა | 1393.0 | 95% |
| განათლება | 2122.6 | 97% |
| სოციალური დაცვა | 346.8 | 91% |
| **სულ ხარჯები** | **17081.0** | 93% |

2022 წელს აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 18017.9 ათასი ლარი, მათ შორის გადასახადებმა 8473.1 ათასი ლარი, გრანტებმა 70185.7 ათასი ლარი, სხვა შემოსავლებმა 619.1 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება 99.2 ათასი ლარი. 2021 წლის ბოლოს ნაშთმა შეადგინა - 1640.9 ათასი ლარი.

გარდა ამისა, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსებიდან 2018 წელს მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით - 11.5 ათ ლარი;

აბაშის მუნიციპალიტეტში 2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან 7813.9 ათასი ლარიდან 7009.2 ათ. ლარი მიიმართა ძირითად ინფრასტრუქტურულ პროექტებზე:

ავტომაგისტრალიდან სოფ. ძიგურის გავლით სოფ. ზანათამდე გზის მოწყობა ასფალტო ბეტონით 592.5 ათ.ლარი; ძველი აბაშაში გზის ორმული შეკეთება და წვრილმარცვლოვანი ასფალტო ბეტონის გადაკვრა 472.3 ათ.ლარი; სოფ. ძვ. აბაშა N8 ქუჩის შესახვევებით მოწყობა ასფალტო ბეტონით 565.4 ათ.ლარი; ქალაქ აბაშაში გამსახურდიას პირველი და მესამე შესახვევის, კოწია კაპანელის ქუჩიდან გამსახურდიას ქუჩამდე გზის ასფალტო ბეტონის საფარით მოწყობა 518.9 ათ.ლარი; ქალაქ აბაშაში ცანავას ქუჩის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო ავტომაგისტრალამდე 317.5 ათ.ლარი; აბაშის მუნიციპალიტეტში სოფ. ნორიოში მდ. აბაშის მიმდებარედ ჭაბურღილთან და სოფ. მარანში საინფორმაციო ცენტრის მიმდებარედ გზის მოწყობა რკ. ბეტონის საფარით 206.5 ათ.ლარი; ქ. აბაშაში ტროტუარებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა 57.3 ათ.ლარი; სოფელ მარნის N14 N12 გზის ქუჩების ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა 486.8 ათ.ლარი; სოფ. გაუწყინარში N1 ქუჩის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით 364.4 ათ.ლარი; სოფ. გაუწყინარში ქუჩა N5-ის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით 471.3 ათ.ლარი; სოფ. პირველ მაისში კუდაეწერში N4 გზის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით 418.2 ათ.ლარი; სოფ. ნაესაკოვოსა და კოდორის შემაერთებელი გზის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით 494.1 ათ.ლარი; სოფ. ნაესაკოვოში შუაქალაქის უბნიდან იპოდრომამდე გზის მოწყობა ასფალტობეტონის საფარით 570.3 ათ.ლარი; სოფ.აბაშისპირის ქუჩა N5-ის მოწყობა ასფალტობეტონის საფარით 140.0 ათ.ლარი; სოფ. ქოლობანში N5 (პატარა გეზათი) გზის მოწყობა 255.2 ათ.ლარი; ქალაქის აბაშაში გზების ორმული შეკეთება 23.9 ათ.ლარი; აბაშის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ორმულის შეკეთება 15.3 ათ.ლარი და სხვა საგზაო სამუშაოები;

აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. ქოლობანში ყავის ჯიხურის მოწყობის სამუშაოები 8.2 ათ.ლარი; აბაშის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული შენობების, სოფ. სუჯუნის კულტურის სახლის და ქ. აბაშაში თავისუფლების ქ. N102 ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარემონტო სამუშაოები 70.5 ათ.ლარი; 2018 წელს მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით (საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, სამშენებლო სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა) 11.5 ათ.ლარი;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის სხვადასხვა ღონისძიებები დაფინანსებულია 383.1 ათ. ლარით;

აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწყობის სამუშაოები 95.8 ათ.ლარი;

ასევე ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა - 196.1 ათ. ლარი

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ განხორციელდა აბაშის მუნიციპალიტეტის 2022 წელს შემდეგი სოციალური პროგრამები:

1. **მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 300.5 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 653ბენეფიციარმა, პროგრამით გახარჯულია 295.5 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია: აბაშის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბენეფიციარების სამედიცინო მომსახურების იმ წილის დაფინანსებას ან თანადაფინანსებას რაც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით, სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამით, ან/და კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ.

2. **მზრუნველობამოკლებული მოსახლეობის უფასო კვების პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 77.0 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 50 ბენეფიციარმა, პროგრამით გახარჯულია 69.3 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია: აბაშის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უმწეო მდგომარეობაში მყოფი სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებისთვის უფასო კვება, მათ შორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც რეგისტრირებულები არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 0-დან 70 000-მდე.

3. **სტიქიით (ხანძარი, ძლიერი ქარი, წყალდიდობა და სხვ.) დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამა.**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 17.5 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 6 ოჯახმა, გახარჯულია 15.0 ათასი ლარი, პროგრამის მიზანია: სტიქიით (ხანძრი, ქარი, წყალდიდობა) დაზარალებუთა დახმარება, მათი ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურება რათა მათ მოახდინონ საცხოვრებლის რეაბილიტაცია და შეძლონ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

4. **დედ-მამით ობოლი ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა.**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 0.6 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 1 ბენეფიციარმა, პროგრამით გახარჯულია 0.3 ათასი ლარი; პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში მცხოვრები დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება.

5. **მარჩენალდაკარგულ ბავშვთა ოჯახების დახმარების პროგრამა.**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 21.0 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 123 ბენეფიციარმა, პროგრამით გახარჯულია 18.7 ათასი ლარი, პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარჩენალდაკარგული ბავშვების (0-18) წლამდე ხელშეწყობა.

6. **მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების მონაწილე ვეტერანების და სქართველოს ტერიტორიული მთლინობისათვის ომში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარების პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 38.0 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 218 ბენეფიციარმა, პროგრამით გახარჯულია 35.9 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ომის ვეტერანების ხელშეწყობა, კერძოდ: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარება.

7. **მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების მონაწილე გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახების დახმარების პროგრამა (ვეტერანის გარდაცვალებისას)**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 2.5 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 3 ოჯახმა, პროგრამით გახარჯულია 0.8 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებზე დასაფლავების ხარჯების გაწევა.

8. **გარდაცვლილ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების დახმარების პროგრამა.**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 5.0 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 15 ბენეფიციარმა, პროგრამით გახარჯულია 3750 ლარი. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებზე დასაფლავების ხარჯების გაწევა.

9. **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა.**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 9.0 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 41 ბავშვმა (40 ოჯახი), პროგრამით გახარჯულია 8.2 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში შშმ ბავშვების დახმარება, რომლებიც მუდმივად საჭიროებენ მზრუნველობას, მკურნალობას.

10. **ყრუ - მუნჯებისა და ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეების დახმარების პროგრამა.**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 3.0 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 12 ბენეფიციარმა, პროგრამით გახარჯულია 2.4 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იმ ბენეფიციარების დახმარება, რომლებიც არიან ყრუ-მუნჯები და ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეები.

11. **დიალიზის პროგრამაში მონაწილე ავადმყოფთა მგზავრობის მხარდაჭეის პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 35.3 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 15 ბენეფიციარმა, პროგრამით გახარჯულია 31.4 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იმ ბენეფიციარების ტრანსპორტირების ხარჯები, რომლებიც სარგებლობენ ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამით.

12. **მკვეთრად გამოხატული I ჯგუფის შეზრუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა დახმარების პროგრამა.**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 33.0 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 152 ბენეფიციარმა, პროგრამით გახარჯულია 30.4 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შშმ პირებზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა.

13. **მრავალშვილიანი ოჯახების სამი და მეტი შვილი (0-18 წლის ასაკამდე) ოჯახისათვის დახმარება.**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 111.5 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 1108 ბავშვმა, პროგრამით გახარჯულია 110.8 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახებზე მატერიალური დახმარების გაწევა.

14. **ასი წლის და ასზე უხნესი ასაკის უხუცესთა დახმარების პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 2.0 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 1 ბენეფიციარმა, პროგრამით გახარჯულია 1.0 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წელს გადაცილებული პირების წელიწადში ერთჯერ ფულადი დახმარება.

15. **ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 20.4 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 88 ბავშვმა, (105 ოჯახი) პროგრამით გახარჯულია 17.3 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში ახალშობილთა ოჯახების წელიწადში ერთჯერ ფულადი დახმარება.

16. **სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების დახმარების პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 5.0 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 18 ბენეფიციარმა, პროგრამით გახარჯულია 4.5 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების წელიწადში ერთჯერ ფულადი დახმარება.

**2023 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა**

2023 წელს დაგეგმილია აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 20267.7 ათასი ლარი, მათ შორის გადასახადები 9339.6 ათასი ლარი, გრანტები 7999.7 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 530.0 ათასი ლარი, ნაშთი 930.8 ათასი ლარი.

2023 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი 7999.7 ათასი ლარიდან ფინანსდება საგზაო ინფრასტრუქტურა, ბინათმშენებლობა, სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, კეთილმოწყობის ღონისძიებები, საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრასპორტრების ხარჯები და სხვ.

აბაშის მუნიციპალიტეტში 2023 წელს მიმდინარე ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტები:

გზების მიმდებარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები (მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუსა და აბაშის მუნიციპალიტეტების ერთობრივი შესყიდვა - 20.0 ათასი ლარი; 3147 - სოფელ მარნის N14 N12 გზის ქუჩების ასფალტობეტონის საფარის მოწყობა - 94.6 ათასი ლარი; 3148 - სოფ. გაუწყინარში N1 ქუჩის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით - 168.0 ათასი ლარი; 3149 - სოფ. გაუწყინარში ქუჩა N5-ის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით - 279.1 ათასი ლარი; 3150 - სოფ. პირველ მაისში კუდაეწერში N4 გზის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით - 117.7 ათასი ლარი; 3151 - სოფ. ნაესაკოვოსა და კოდორის შემაერთებელი გზის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით - 105.3 ათასი ლარი; 3152 - სოფ. ნაესაკოვოში შუაქალაქის უბნიდან იპოდრომამდე გზის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით - 267.3 ათასი ლარი; 3153 - სოფ.აბაშისპირის ქუჩა N5-ის მოწყობა ასფალტობეტონის საფარით - 72.0 ათასი ლარი; 3154 - სოფ. ქოლობანში N5 (პატარა გეზათი) გზის მოწყობა - 82.5 ათასი ლარი; 3155 - სოფ. ტყვირში N5 ქუჩიდან ტყვირის ტაძრის მიმართულებით ცემენტო-ბეტონის გზის მოწყობის სამუშაოები - 500.0 ათასი ლარი; 3156 - სოფ. ძვ. აბაშაში N1 ქუჩაზე ორფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა - 200.0 ათასი ლარი; 3157 - სოფ. ზანათიდან სოფ. ძიგურამდე ასფალტობეტონის საფარის მოწყობა - 300.0 ათასი ლარი; 3158 - ქ. აბაშაში ქუჩიშვილის ქუჩა და მისი შესახვევები ასფალტო-ბეტონის მოწყობა - 156.7 ათასი ლარი; 3159 - ქ. აბაშაში ცანავას ქუჩის შესახვევის მოწყობა ასფალტო-ბეტონით, ცანავას ქუჩიდან იპოდრომის გავლით ცანავას ქუჩამდე - 105.0 ათასი ლარი; 3160 - სოფ. ეწერში ქუჩა N6 და N8 მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით - 230.4 ათასი ლარი; 3161 - სოფ. სუჯუნაში სანოდიო-სამატკაოს უბანში ქუჩის N11,N12 და N15 გზის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით - 373.5 ათასი ლარი; 3162 - სოფ. მარანში N5 ქუჩის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები - 133.4 ათასი ლარი; 3649 - აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. მარანჭალაში #9; #5 და #3 ქუჩებზე ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები - 206.4 ათასი ლარი; 3650 - სოფ. ნორიოში მაცხოვრისკარიდან სოფ. ძველი აბაშის მიმართულებით გზის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები - 100.0 ათასი ლარი; 3651 - აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. ნორიოში საბოკუჩაოს N2 და N3 ქუჩის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები - 200.0 ათასი ლარი; 3652 - ქ. აბაშაში ააიპ აბაშის კეთილმოწყობის სამსახურის ეზოს კეთილმოწყობა რკ/ბეტონის საფარით - 99.7 ათასი ლარი; 3653 - ქ. აბაშაში ჯორჯიკიას ქუჩისა და პატარა ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით - 163.9 ათასი ლარი. კამერების შესყიდვის ხარჯები - 50.0 ათასი ლარი; 4 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები და 6 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა - 675.5 ათასი ლარი; შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ხარჯი 151.3 ათასი ლარი; გარე განათების ბოძებისა და ელ.გადამცემი ხაზების შესყიდვა - 107.0 ათასი ლარი; აბაშის მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხების მოწყობისა და ხიდე-ბოგირების მოწყობის სამუშაოები - 30.0 ათასი ლარი; ქალაქ აბაშაში სტიქიის შედეგად დაზიანებული სანიაღვრე არხებისა და ხიდე-ბოგირების მოწყობის სამუშაოები - 11.5 ათასი ლარი; სამიქაოს ადმინისტრაციულ ერთეულში ყურუების უბანში სტიქიის შედეგად მდ. კოზზაზე ხიდის მოწყობის სამუშაოები - 265.0 ათასი ლარი; ნორიოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდ. ცუდღარზე დაზიანებული ხიდის მოწყობის სამუშაოები - 29.7 ათასი ლარი; ონტოფოს ადმინისტრაციულ ერთეულში გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა №125-ის გვერდით შემავალი ჩიხში არსებული მილ-ხიდის მოწყობის სამუშაოები - 29.3 ათასი ლარი; ონტოფოს ადმინისტრაციულ ერთეულში გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა №52-ის გვერდით შემავალი ქუჩის მილ-ხიდის მოწყობის სამუშაოები - 9.1 ათასი ლარი; ონტოფოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდ. ნოღელაზე დაზიანებული ხიდის მოწყობის სამუშაოები - 26.7 ათასი ლარი; სეფიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სამელიოს უბანში სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდე-ბოგირის მოწყობის სამუშაოები - 94.8 ლარი; გეზათის ადმინისტრაციულ ერთეულში გეზათი-ქოლობნის საზღვარზე, აუზების დასაწყისიდან დაზიანებული ხიდე-ბოგირისა და ასევე დაზიანებული გზის სავალი ნაწილის მოწყობა ახალი რკინა ბეტონის საფარით - 78.0 ათასი ლარი; გეზათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გულუხეთში მდ. კოზზაზე ამოწმენდის

სამუშაოები - 29.9 ათასი ლარი; გეზათის ადმინისტრაციულ ერთეულში უბანი კოდარა, მდ. კოზზაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდის და ხიდის გვერდულების მოწყობის სამუშაოები - 247.5 ათასი ლარი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამის სხვადასხვა სამუშაოები - 674.8 ათასი ლარი; აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სადროშე ანძის მოწყობის სამუშაოები - 109.0 ათასი ლარი; აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწყობის სამუშაოები - 10.8 ათასი ლარი; 656 - აბაშის მუნიციპალიტეტში თავისუფლების ქუჩაზე მდებარე ბინა N157-ში სკვერის მოწყობის სამუშაოები - 70.0 ათასი ლარი; 3657 - აბაშის მუნიციპალიტეტში თავისუფლების ქუჩაზე N35-ში სკვერის მოწყობის სამუშაოები - 70.0 ათასი ლარი; საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურეობის შესყიდვა - 497.0 ათასი ლარი; 3654 - ქ. აბაშაში პოლიციის მიმდებარედ თავისუფლების ქუჩაზე მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები - 120.0 ათასი ლარი; 3655 - ქ. აბაშაში დ. კაჭარავას ქუჩაზე მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები - 120.0 ათასი ლარი; სტიქიით (ხანძარი, ძლიერი ქარი, წყალდიდობა და სხვ.) დაზარალებული ოჯახების დახმარება - 286.0 ათასი ლარი; აგრეთვე ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებულია მრავალწლიანი შესყიდვით 2 ავტობუსის შეძენა - 274.8 ათ. ლარი და ნაგავმზიდი მანქანა - 137.8 ათასი ლარი.

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ განხორციელდა აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის შემდეგი სოციალური პროგრამები:

1. **მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 250.0 ათასი ლარით, (ბენეფიციართა რაოდენობა დამოკიდებულია მომართვიანობაზე), პროგრამის მიზანია: აბაშის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბენეფიციარების სამედიცინო მომსახურების იმ წილის დაფინანსებას ან თანადაფინანსებას რაც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით, სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამით, ან/და კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ.

2. **მზრუნველობამოკლებული მოსახლეობის უფასო კვების პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 77.4 ათასი ლარით (სულ 50 ბენეფიციარი), პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უმწეო მდგომარეობაში მყოფი სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებზე უფასო კვება, მათ შორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც რეგისტრირებულები არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 0-დან 70 000-მდე.

3. **სტიქიით (ხანძარი, ძლიერი ქარი, წყალდიდობა და სხვ.) დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამა.**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 327.3 ათასი ლარით (სულ 12 ოჯახი), პროგრამის მიზანია: სტიქიით (ხანძრი, ქარი, წყალდიდობა) დაზარალებულზე დახმარება, მათი ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურება, რათა მათ მოახდინონ საცხოვრებლის რეაბილიტაცია და შეძლონ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

4. **დედ-მამით ობოლი ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა.**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 1.8 ათასი ლარით (სულ 6 ბენეფიციარი), პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში მცხოვრები დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება.

5. **მარჩენალდაკარგულ ბავშვთა ოჯახების დახმარების პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 21.0 ათასი ლარით (სულ 140 ბენეფიციარი), პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარჩენალდაკარგული ბავშვების (0-18) ხელშეწყობა. ერთჯერადი დახმარების გაწევა.

6. **მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების მონაწილე ვეტერანების და სქართველოს ტერიტორიული მთლინობისათვის ომში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარების პროგრამა.**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 40.0 ათასი ლარით (სულ 230 ბენეფიციარი), პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ომის ვეტერანების ხელშეწყობა,

კერძოდ: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარება.

7. **მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების მონაწილე გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახების დახმარების პროგრამა (ვეტერანის გარდაცვალებისას)**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 2.5 ათასი ლარით (სულ 10 ოჯახი), პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული გარდაცვლილი ვეტერანი ოჯახზე დასაფლავების ხარჯების გაწევაში მატერიალური თანადგომა.

8. **გარდაცვლილ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების დახმარების პროგრამა.**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 5.0 ათასი ლარით (სულ 20 ოჯახი), პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებზე დასაფლავების ხარჯების გაწევაში მატერიალური თანადგომა.

9. **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა.**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 10.0 ათასი ლარით (სულ 50 ბენეფიციარი), პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში შშმ ბავშვების დახმარება, რომლებიც მუდმივად საჭიროებენ მზრუნველობას, მკურნალობას.

10. **ყრუ - მუნჯებისა და ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეების დახმარების პროგრამა.**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 4.0 ათასი ლარით (სულ 20 ბენეფიციარი), პროგრამის მიზანია: აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იმ ბენეფიციარების დახმარება, რომლებიც არიან ყრუ-მუნჯები და ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეები.

11. **დიალიზის პროგრამაში მონაწილე ავადმყოფთა მგზავრობის მხარდაჭერის პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 49.0 ათასი ლარით (სულ 15 ბენეფიციარი), პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იმ ბენეფიციარების ტრანსპორტირების ხარჯები, რომლებიც სარგებლობენ ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამით.

12. **მკვეთრად გამოხატული I ჯგუფის შეზრუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა დახმარების პროგრამა.**

პროგრამის ბიუჯეტი განისამღვრა 40.0 ათასი ლარით (სულ 190 ბენეფიციარი), პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შშმ პირებზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა.

13. **მრავალშვილიანი ოჯახების სამი და მეტი შვილი (0-18 წლის ასაკამდე) ოჯახისათვის დახმარება.**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 108.0 ათასი ლარით (სულ 1060 ბენეფიციარი), პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახებზე მატერიალური დახმარების გაწევა.

14. **ასი წლის და ასზე უხნესი ასაკის უხუცესთა დახმარების პროგრამა.**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 2.0 ათასი ლარით (სულ 2 ბენეფიციარი), პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წელს გადაცილებული პირების წელიწადში ერთჯერ ფულადი დახმარება.

15. **ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 18.9 ათასი ლარით (სულ 245 ბენეფიციარი), პროგრამის მიზანია: ახალშობილთა ერთჯერადი ფულადი დახმარება.

16. **თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 10.0 ათასი ლარით (სულ 8-მდე ოჯახი), პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახები ან პირი, რომელთა საცხოვრებელი სახლი, სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევის და სხვა

გარემოებების გამო დაინგრა, დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისთვის საშიში გახდა. ასევე პირები რომლებიც გახდნენ ძალადობის მსხვერპლნი.

17. **სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების დახმარების პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 5.0 ათასი ლარით (სულ 20 ბენეფიციარი), პროგრამის მიზანია: სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური და მორალური მხარდაჭერა.

18. **გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 6.0 ათასი ლარით, პროგრამის მიზანია გენდერული ტანასწორობის უზრუნველყოფის და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა

## თავი III. აბაშის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

### ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

*ათასი ლარი*

| პროგრამული. კოდი | დასახელება | 2022 ფაქტი | 2023 გეგმა | 2024 გეგმა | 2025 პროგნოზი | 2026 პროგნოზი | 2027 პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **8474.3** | **8557.6** | **2385.6** | **1384.0** | **1888.0** | **2198.0** |
| **02 01** | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | **6349.5** | **4069.9** | **445.5** | | | |
| **02 01 01** | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა | **6346.2** | **4002.9** | **20.0** | | | |
| **02 01 02** | საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება | **3.3** | **67.0** | **425.5** | | | |
| **02 02** | ბინათმშენებლობა | **80.7** | **689.7** | **10.0** | | | |
| **02 03** | გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | | **107.0** | | | | |
| **02 04** | საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია | | | | | | |
| **02 05** | სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშნებელობა-რეაბილიტაცია | **11.5** | **851.5** | | | | |

| პროგრამული. კოდი | დასახელება | 2022 ფაქტი | 2023 გეგმა | 2024 გეგმა | 2025 პროგნოზი | 2026 პროგნოზი | 2027 პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **02 06** | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | **383.0** | **674.8** | | | | **100.0** |
| **02 07** | მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის ღონისძიებები | **1453.5** | **1637.7** | **1700.1** | **1176.0** | **1200.0** | **1340.0** |
| **02 07 01** | სკვერების მოწყობის ღონისძიებები | **95.9** | **259.8** | | | | |
| **02 07 02** | კეთილმოწყობის ღონისძიებები | **1357.6** | **1377.9** | **1700.1** | **1176.0** | **1200.0** | **1340.0** |
| **02 07 02 01** | ქალაქის გარე განათება | **552.8** | **411.8** | **609.1** | **476.0** | **500.0** | **520.0** |
| **02 07 02 02** | კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები | **804.8** | **966.1** | **1091.0** | **700.0** | **700.0** | **820.0** |
| **02 08** | რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება | | | | | **300.0** | **300.0** |
| **02 09** | ტურიზმი | | **30.0** | **30.0** | | | |
| **02 10** | საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურეობის შესყიდვა | **196.1** | **497.0** | **200.0** | **200.0** | **200.0** | **250.0** |

*ათას ლარში*

| პროგრამის დასახელება | კოდი | **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება** | 2024 წლის დაფინანსება | დაფინანსება 2025-2027 წწ |
|---|---|---|---|---|
| | **02 01 02** | | **20.0** | **60.0** |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახური; | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ადგილობრივი ბიუჯეტით მუნიციპალიტეტში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მოწესრიგებული და უსაფრთხო საგზაო მოძრაობა | | | |

*ათას ლარში*

| პროგრამის დასახელება | კოდი | **საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება** | 2024 წლის დაფინანსება | დაფინანსება 2025-2027 წწ |
|---|---|---|---|---|
| | **02 01 02** | | **425.5** | |
| პროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახური; | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამა ითვალისწინებს არსებული მაღალტექნოლოგიური მონაცემების მქონე ჭკვიანი და ზოგადი კამერების მოვლა-შენახვას - 4 100 ლარით; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზოგადი ხედვისა და ნომრის ამომცნობი კამერების მოწყობის სამუშაოები და ინსტალაცია 251 600 ლარი და მათი მოვლა-შენახვა 169 800 ლარი. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | დამონტაჟებული ვიდეო კამერებით დანიშნულების გახსნის მაჩვენებლის ზრდა, მოწესრიგებული და უსაფრთხო საგზაო მოძრაობა. | | | |

*ათას ლარში*

| პროგრამის დასახელება | კოდი | ბინათმშენებლობა | 2024 წლის დაფინანსება | დაფინანსება 2025-2027 წწ |
|---|---|---|---|---|
| | **02 02** | | **10.0** | |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახური; | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობების ახალ აბონენტად მიერთების ღირებულება, ელექტროენერგიის და წყალგაყვანილობის სისტემაში - 10 000 ლარი | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | აღნიშნული პროგრამის განხორციელების შემდეგ გაზრდილი მათი ექსპლუატაციის ვადა, გამართული ინფრასტრუქტურა. | | | |

*ათას ლარში*

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ქალაქის გარე განათება | 2024 წლის დაფინანსება | დაფინანსება 2025-2027 წწ |
|---|---|---|---|---|
| | **02 07 02 01** | | **609.1** | **1496.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | აბაშის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,აბაშის კეთილმოწყობა" | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. აბაშაში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:<br>● მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;<br>● ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;<br>● დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება;<br>პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემის ფუნქციონირების გამართვა. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების დროულად აღმოფხვრა. მუნიციპალიტეტში გარე-განათების ქსელი მოცულია დასახლებული ტერიტორიის 90 %. | | | |

| შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) |
|---|---|---|---|---|---|
| | 1 | შეკეთებული სანათების რაოდენობა | 50 | 82 | განსაზღვრა შეუძლებელია |
| | 2 | შეკეთებული ბოძების რაოდენობა | 55 | 45 | განსაზღვრა შეუძლებელია |
| | 3 | | | | |

*ათას ლარში*

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები | 2024 წლის დაფინანსება | დაფინანსება 2025-2027 წწ |
|---|---|---|---|---|
| | **02 07 02 02** | | **1091.0** | **2220.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | აბაშის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,აბაშის კეთილმოწყობა" | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცენტრისა და შემოგარენის გალამაზება, კეთილმოწყობა, ახალი ხეების დარგვა, გამწვანების ზოლში ყვავილებისა და დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, განაშენიანებული მარადმწვანე ხებუჩქნარის მოვლა, დაზიანებული მუნიციპალური ქონების აღდგენა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსაწრეტი არხების სამუშაოები. სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, სხვადასხვა სარემონტო სამუშაოების შესრულება. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მოვლილი სასაფლაოები, სკვერები და პარკები, მუნციპალიტეტის ინფრასტუქტურის ფუნქციონირების და მოვლა-პატრონობა, ამაღლება | | | |

| შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) |
|---|---|---|---|---|---|
| | 1 | ძელსკამების შეცვლა | 40 | 60 | 2% |
| | 2 | მწვანე ნარგავების მოწყობა | 200 | 400 | 5% |
| | 3 | დეკორატიული მცენარეებით სკვერების გალამაზება | 50 | 120 | 3% |

*ათას ლარში*

| პროგრამის დასახელება | კოდი | **ტურიზმი** | 2024 წლის დაფინანსება | დაფინანსება 2025-2027 წწ |
|---|---|---|---|---|
| | **02 09** | | **30.0** | |
| პროგრამის განმახორციელებელი | კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების სამსახური | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია რეგიონში ტურიზმის განვითარების მოდელის შექმნის ხელშეწყობა და მისი პოპულარიზაცია | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ყველა ტურისტული ღირშესანიშნაობის არსებული მდგომარეობის ანალიზი და ახალი მდგომარეობის დანერგვა | | | |

*ათას ლარში*

| პროგრამის დასახელება | კოდი | **საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურეობის შესყიდვა** | 2024 წლის დაფინანსება | დაფინანსება 2025-2027 წწ |
|---|---|---|---|---|
| | **02 10** | | **200.0** | **650.0** |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახური; | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა; ასევე ფინანსდება ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის შესყიდვა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, ასევე ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების მიზნით. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და კვალიფიციურად მომზადება. შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს) | | | |

## დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების

გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

*ათას ლარში*

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2022 ფაქტი | 2023 გეგმა | 2024 პროექტი | 2025 პროგნოზი | 2026 პროგნოზი | 2027 პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **03 00** | **დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **378.5** | **457.8** | **470.0** | **400.0** | **450.0** | **450.0** |
| **03 01** | ქალაქის დასუფთავება | **378.5** | **457.8** | **470.0** | **400.0** | **450.0** | **450.0** |
| **03 02** | მწვანე ნარგავების შეძენა | | | | | | |

*ათას ლარში*

<table>
<tr><td rowspan="2">ქვეპროგრამის დასახელება</td><td>კოდი</td><td rowspan="2" colspan="3">ქალაქის დასუფთავება</td><td>2024 წლის დაფინანსება</td><td>დაფინანსება 2025-2027 წწ</td></tr>
<tr><td>03 01</td><td>470.0</td><td>1300.0</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</td><td colspan="6">აბაშის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,აბაშის კეთილმოწყობა"</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</td><td colspan="6">ქვეპროგრამის ფარგლებში მუნციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მუნციპალიტეტის ცენტრის დაგვა-დასუფთავება და მოწესრიგება, ცენტრალური სარაიონთაშორისო და მუნიციპალური გზების გვერდულების გაწმენდა-გასუფთავება, ადმინისტრაციული ცენტრების დასუფთავება. ქალაქის შემოგარენის წყალსაწრეტი არხებისა და ჭების ამოწმენდა. ცენტრში სათიბი სამუშაოების შესრულება, პარკში განაშენიანებული ხეების კირით შეთეთრება, მუნიციპალიტეტის ქალაქის ცენტრიდან და სოფლებიდან სანაგვე ყუთების დაცლა და ნაგავსაყრელზე გატანა.</td></tr>
<tr><td>მოსალოდნელი შედეგი</td><td colspan="6">ეკოლოგიური მდგომრეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება, დასუფთავებული მუნიცპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება</td></tr>
<tr><td rowspan="3">შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td>#</td><td>ინდიკატორის აღწერა</td><td>საბაზისო მაჩვენებელი</td><td>მიზნობრივი მაჩვენებელი</td><td colspan="2">ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)</td></tr>
<tr><td>1</td><td>ტერიტორიის დასუფთავება</td><td>10000</td><td>14000</td><td colspan="2">5%</td></tr>
<tr><td>2</td><td>ნარჩენების გატანა</td><td>175</td><td>500</td><td colspan="2">8%</td></tr>
</table>

## განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის

ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

*ათას ლარში*

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2022 ფაქტი | 2023 გეგმა | 2024 პროექტი | 2025 პროგნოზი | 2026 პროგნოზი | 2027 პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04 00 | განათლება | 2122.6 | 2504.1 | 2415.8 | 1955.5 | 1955.5 | 2079.0 |
| 04 01 | სკოლამდელი განათლების დაფინანსება | 1508.6 | 2030.0 | 2400.0 | 1955.5 | 1955.5 | 2079.0 |
| 04 02 | საჯარო სკოლების დაფინანსება | 614.0 | 474.1 | | | | |
| 04 03 | სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების რეაბილიტაცია | | | | | | |
| 04 04 | განათლების ღონისძიებების პროგრამა | | | 15.8 | | | |

*ათას ლარში*

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სკოლამდელი განათლების დაფინანსება | 2024 წლის დაფინანსება | დაფინანსება 2025-2027 წწ |
|---|---|---|---|---|
| | 04 01 | | 2400.0 | 5990.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მისია ამოცანები ეფუძნება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და მოქმედი სტანდარტების მოთხოვნებს.<br>მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სრული ჩართულობა ს/ბაღებში.<br>მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 1 ქალაქის ბაგა-ბაღი და 19 ს/ბაღი, სადაც ჩართულია 530 აღსაზრდელი.<br>გაერთიანებაში დასაქმებულია 227 თანამშრომელი; მათ შორის: 20 ს/ბაღის უფროსი; აღმზრდელ-პედაგოგი და შემცვლელი-57, აღმზრდელის თანაშემწე-28, მზარეული-26 და სხვა ადმინისტრაციული და დამხმარე ტექნიკური პერსონალი.<br>ს/ბაღებში სააღმზრდელო საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად.<br>გამომდინარე აქედან საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ბავშვის პიროვნული სოციალური და აკადემიური განვითარება, მომსახურეობის საყოველთაო ხელმისაწვდომობა, ხარისხის უზრუნველყოფა, ბავშვის განვითარებისადმი მთლიანობითი მიდგომა, ბავშვის უფლებათა კონვენციის დაცვა, ჯანსაღი კვება, უსაფრთხო გარემო, სკოლისათვის მზაობა, ინკლუზიური განათლება, სტანდარტის შესაბამისი, სწორად დაგეგმილი ბავშვზე ორიენტირებული კურიკულუმი, კვალიფიციური კადრები.<br>ს/ბაღებში დასაქმებული ყველა აღმზრდელ-პედაგოგი, აღმზრდელი და მუსიკის მასწავლებელი სერთიფიცირებულია. სანიტარულ- ჰიგიენური და კვების ნორმები ძირითადად შეესაბამება მთავრობის №485 და №487 დადგენილებების მოთხოვნებს. ს/ბაღები უზრუნველყოფილი არიან ცივი და ცხელი წყლით, წელიწადში ერთხელ ტარდება წყლის ლაბორატორიული კვება, არსებობს გათბობის სისტემა, გაზირება, ბრეკეტის ღუმელი და ელექტროქურები. მიმდინარეობს HACP-ის პროგრამის განხორციელება. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით. სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები, სააღმზრდელო დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. | | | |

| | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| შედეგის შეფასების ინდიკატორი | 1 | ს/ბაღებში ავტორიზაციის პირველი ეტაპის დამთავრება. სამედიცინო შტატის არსებობა. საძინებელი ავეჯით უზრუნველყოფა. საგანგებო სიტუაციების მართვის სტრატეგიის სრული განხორციელება | საძინებელი პირობების შექმნის შემთხვევაში 2-6 წლამდე ასაკის ბავშვთა სრული ჩართულობა ს/ბაღებში. | სკოლამდელი ასაკის ყველა ბავშვი ჩართულია ს/ბაღში. ინკლუზიური განათლებისათვის შექმნილია სათანადო პირობები. სახანძრო უსაფრთხოების წესები სრულად არის დაცული. | 3% | |
| | 2 | გსმ ბავშვების ჩართულობა სკოლამდელ განათლებაში. | შშმ ბავშვების ადაპტირებისათვის შექმნილია შესაბამისი პირობები. გაზრდილია კვების რაციონი. | კვების რაციონი სრულად შეესაბამება ტექნიკურ რეგლამენტს. | 3% | |
| | 3 | კვების რაციონის გაზრდა, საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფა | რიგ ს/ბაღებსი დანერგილია ინტერნეტიზაცია | ს/ბაღები უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო რესურსებით. | 3% | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | განათლების ღონისძიებების პროგრამა | 2024 წლის დაფინანსება | დაფინანსება 2025-2027 წწ |
|---|---|---|---|---|
| | **04 04** | | **15.8** | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამა მოიცავს ფოტოხელოვნებით დაინტერესებული მოსწავლეებისთვის ტრენინგის მოწყობა, რის საფუძველზეც ისინი შეისწავლიან ფოტოგრაფიის ტექნიკას,პრაქტიკულად განახორციელებენ ფოტოგრაფირებას. მათ მიერ წარმოდგენილ მასალას გადაარჩევს მოწვეული ტრენერი.მოხდება ფოტოების დაბეჭდვა-გამოფენა და გამარჯვებული მოსწავლეების გამოვლენა-დაჯილდოება. აკრედიტებული უნივერსიტეტების მაღალი აკადემიური მოსწრების 10 აბაშელი სტუდენტი, რომლებიც აგრეთვე გამოირჩევიან სხვადასხვა მიმართულებით გამოვლენილი განსაკუთრებული ნიჭით და წარმატებებით, 9 თვის განმავლობაში ყოველთვიურად მიიღებენ მერის სახელობის სტიპენდიას თვეში 120 ლარის ოდენობით.<br>პროგრამა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: ვიქტორინის საღამოების მოწყობა, თავისუფალი წერის კონკურსების გამართვა, ფოტოხელოვნების მიმართ ინტერესის გაღვივება და ნამუშევრების გამოფენა; ხელოვან ადამიანებთან შეხვედრა, პოეტების მოწვევა და პოეზიის საღამოების გამართვა, საქართველოს კუთხეებზე ცოდნის გაღრმავება და პოპულარიზაცია.<br>სკოლამდელი ასაკის ბავშვებისა და დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის ზეიმების მოწყობა.<br>გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ფარგლებში, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით ღონისძიებების გამართვა. ტრენინგებისა და კონფერენციების მოწყობა სხვადასხვა ფოკუს-ჯგუფისთვის გენდერული თანასწორობის მიმართულებით. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ფოტოხელოვნებით დაინტერესებული მოსწავლეების გამოვლენა, გადამზადება და წარმოჩენა,რითაც მოხდება მათთვის საინტერესო სფეროში მოტივაციის ამაღლება შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის. მაღალი აკადემიური მოსწრების და ამავდროულად განსაკუთრებული ნიჭის მქონე აბაშელი სტუდენტების გამოვლენა, წახალისება და ფინანსური მხარდაჭერა იმ მიზნით, რომ ისინი დაუბრუნდებიან მშობლიურ მუნიციპალიტეტს ახალი იდეებით, სტრატეგიებით და ხელს შეუწყობენ მუნიციპალიტეტის განვითარებას თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად.<br>ფოტოტექნიკის შესწავლა; ხელოვან ადამიანებთან ცოცხალი კომუნიკაციები, ცნობადობის ამაღლება გენდერულად სენსიტიურ თემებზე სხვადასხვა ფოკუს-ჯგუფებში.<br>ქართულ-ევროპულ ურთიერთობებზე ცნობადობის ამაღლება; სადღესასწაულო განწყობის | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შექმნა ბავშვებში. მასწავლებლის პროფესიის დაფასება.<br>გენდერულ თანასწორობის სწორი გაგება და მანკიერი მხარეების გამოვლენა. ქალთა და მრავალშვილიან დედათა მხარდაჭერა-წახალისება.<br>გენდერულ თანასწორობაზე ცნობადობის ამაღლება-სწორი შეხედულების ჩამოყალიბება და ამ მიმართულებით არსებული მანკიერი მხარეების გამოვლენა, როგორიცაა ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა, ბავშვთა უფლებები და ნაადრევი ქორწინება, გენდერულად დაყოფილი პროფესიები. პრევენციული ღონისძიებების გატარება, თავდაცვის მექანიზმების განსაზღვრა. | | | | | |
| შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
| | 1 | საჯარო სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობა. განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა გამოვლენა, წარმოჩენა, წახალისება, მოტივაციის გაზრდა. მოსწავლეთა ინტელექტუალური უნარების სხვადასხვა მიმართულებებით გამოვლენის შესაძლებლობა. | 420 | 520 | 5% | |
| | 2 | მოსწავლეებში სწორი შეხედულებების ჩამოყალიბება, რასაც გამოხატავენ პრეზენტაციების საშუალებით. მოსწავლეების და პედაგოგების ჩართულობა და პოზიტიური განწყობა. | 680 | 740 | 5% | |
| | 3 | საჯარო სკოლების მოსწავლეებისა და პედაგოგების, საბავშვო ბაღების აღმზრდელების, სპორტის და კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრების პედაგოგების ჩართულობა და ცნობადობის ამაღლება. | 40 | 50 | 1% | |

## კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

*ათას ლარში*

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2022 ფაქტი | 2023 გეგმა | 2024 გეგმა | 2025 პროგნოზი | 2026 პროგნოზი | 2027 პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **05 00** | **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი** | **1297.1** | **1858.2** | **1983.0** | **1504.5** | **1504.5** | **1604.5** |
| **05 01** | **სპორტის სფეროს განვითარება** | **509.1** | **1018.2** | **955.0** | **660.0** | **660.0** | **760.0** |
| **05 01 01** | სპორტის ცენტრის ხელშეწყობა | **404.3** | **592.0** | **700.0** | **500.0** | **500.0** | **600.0** |
| **05 01 02** | ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა | **102.9** | **180.2** | **240.0** | **150.0** | **150.0** | **150.0** |
| **05 01 03** | სპორტული ინფრასტუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია | | **240.0** | | | | |
| **05 01 04** | სპორტული ღონისძიებები | **1.9** | **6.0** | **15.0** | **10.0** | **10.0** | **10.0** |
| **05 02** | **კულტურის სფეროს განვითარება** | **788.0** | **825.0** | **1008.0** | **824.5** | **824.5** | **824.5** |
| **05 02 01** | კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების ხელშეწყობა | **676.8** | **688.0** | **870.0** | **740.5** | **740.5** | **740.5** |
| **05 02 02** | ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | **38.1** | **37.0** | **38.0** | **34.0** | **34.0** | **34.0** |
| **05 02 03** | სხვა კულტურული ღონისძიებები | **23.1** | **50.0** | **50.0** | **50.0** | **50.0** | **50.0** |
| **05 02 04** | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | **50.0** | **50.0** | **50.0** | | | |
| **05 03** | **ახალგაზრდობის მხარდაჭერა** | | **15.0** | **20.0** | **20.0** | **20.0** | **20.0** |

*ათას ლარში*

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **სპორტის ცენტრის ხელშეწყობა** | 2024 წლის დაფინანსება | დაფინანსება 2025-2027 წწ |
|---|---|---|---|---|
| | 05 01 01 | | **700.0** | **1600.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | სპორტის ცენტრი აერთიანებს: ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს, ტურიზმის განვითარების მართვის სამსახურს, იპოდრომის მართვის სამსახურს და სპორტსკოლას, სადაც მოქმედებს 11 სპორტულ სახეობას. ესენია: ბ/ჰოკეი 40 ბავშვი, ბ/რომაული ჭიდაობა 24 ბავშვი, ძიუდო 16 ბავშვი, ჭადრაკი 16 ბავშვი, კრივი 12 ბავშვი, მ/ჩოგბურთი 16 ბავშვი, კალათბურთი 16 ბავშვი, ტაეკვონდო 16 ბავშვი, მძლეოსნობა 16 ბავშვი, ველოსპორტი 12 ბავშვი, ნიჩბოსნობა 16 ბავშვი, სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 200 მოსწავლე. საწვრთნელი პროცესები უტარდებათ კვირაში 3-4 ჯერ, სპორტის ცენტრში დასაქმებულია 66 თანამშრომელი, ესენია: ადმინისტრაციული პერსონალი, მწვრთნელი, მედიცინის მუშაკი, ტექნიკური თანამშრომელი, ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეკრებებში და ტურნირებში, როგორც საქართველოს მაშტაბით ასევე საზღვარგარეთ. ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდების ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მეტი მოზარდის ჩართვას სპორტის სახეობებში, მუნიციპალიტეტოს სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით და საზღვარგარეთაც. | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მოსალოდნელი შედეგი | სპორტის ცენტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს რეგულაციების შესაბამისად, ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ცენტრის მომსახურეობით და მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა. | | | | |
| შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) |
| | 1 | სპორტის ცენტრში არსებული სპორტის სახეობების რაოდენობა | ფუნქციონირებს სპორტის 11 სახეობა | 2024 წელს შენარჩუნებული იქნება და დავამატებთ 1 სახეობას. | |
| | 2 | ბავშვების რაოდენობა | 200 | 2024-2027 წწ ბავშვთა რაოდენობა გაიზრდება 20 ერთეულით | 5% დამოკიდებულია მომართვიანობაზე. |
| | 3 | სპორტული ღონისძიებების რაოდენობა | 2023 წელს ცენტრის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს 60 სპორტულ ღონისძიებაში. | 2023-2026 წწ ცენტრის აღსაზრდელები მონაწილეობას მიიღებენ არანაკლებ 350 ღონისძიებაში. | 5% |

*ათას ლარში*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა** | | 2024 წლის დაფინანსება | დაფინანსება 2025-2027 წწ |
| | **05 01 02** | | | **240.0** | **450.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ზანა" | | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამა მოიცავს ფეხბურთის პოპულარიზაციას, სპორტის აღნიშნული სახეობის განვითარებისთვის აუცილებელი პირობების შექმნას. ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სკოლისგარეშე სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. ჯანსაღი და ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა და დამკვიდრება, ნიჭიერი, პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა, ეროვნული ნაკრების გუნდებისთვის რეზერვის მიწოდება. | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მაღალი სპორტული შედეგების ჩვენება. საფეხბურთო შეჯიბრებებზე მაქსიმალური სპორტული ცოდნისა და ჩვევების რეალიზება ამაღლებული სპორტული შედეგების მიღწევა. ჯანსაღი თაობის აღზრდა. | | | | |
| შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) |
| | 1 | ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების დაკომპლექტება, თანამედროვე სასწავლო საწვრთნელი პროცესის დანერგვა, მოსწავლე სპორტსმენების დაოსტატება. კლუბის მოსწავლეთათვის მატერიალურ-ტექნიკური საწვრთნელი ბაზების აღჭურვა კეთილმოწყობა, მომზადება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. | 110 | 105 | 5% |

*ათას ლარში*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | **სპორტული ღონისძიებები** | 2024 წლის დაფინანსება | დაფინანსება 2025-2027 წწ |
| | **05 01 04** | | **15.0** | **30.0** |
| პროგრამის განმახორციელებელი | მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები: ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ შემოთავაზებული პროექტის ,,სასკოლო სპორტული ოლიმპიადის" მუნიციპალურ ტურის ჩატარება. გამარჯვებული გუნდებისათვის სპორტული ფორმების შეძენა და ტრანსპორტით უზრუნველყოფა რეგიონალურ ტურში მონაწილეობის მიზნით. სპორტის საერთასორისო დღის (6 აპრილი) აღნიშვნა, ევროპის სპორტის კვირეულში (23-30 სექტემბერი) მონაწილეობა. ოლიმპიური დღის (23 ივნისი) აღნიშვნა. წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების პრემირება | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა. სპორტში ჩართული ახალგაზრდების რაოდნობის ზრდა. | | | |

| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) |
|---|---|---|---|---|---|
| | 1 | სპორტით დაკავებული და სპორტულ ღონისძიებებში ჩართული ახალაზრდების რაოდენობის ზრდა | 300- მდე მოსწავლე-სპორტსმენი | 500- მდე მოსწავლე-სპორტსმენი | 10% გარემოებების გათვალისწინებით |

*ათას ლარში*

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების ხელშეწყობა | 2024 წლის დაფინანსება | დაფინანსება 2025-2027 წწ |
|---|---|---|---|---|
| | **05 02 01** | | **870.0** | **2221.5** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრი | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს, კულტურულ- საგანმანათლებლო -სახელოვნებო სააღმზრდელო საინფორმაციო და შემოქმედებითი საქმიანობა. ამ მიზნით იგეგმება პროგრამები: კონცერტები, ფესტივალები, სხვადასხვა სახის თემატური საღამოები, ინტელექტუალური თამაშები, დისკუსიები, ლექციები აქტუალურ თემებზე, გენდერულ საკითხებზე და ბავშვთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის თემებზე. ახალგაზრდული დღეები, ლიტერატურულ- მუსიკალური კომპოზიციები: 9 აპრილის, 9 მაისის, 8 აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე, ევროპის დღეებისადმი მიძღვნილი თემატური კონფერენციები, ევროპის მემკვიდრეობის დღეების ჩატარება და მის ფარგლებში კულტურულ- საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა. სახალხო ზეიმების: "გულეიროზა", "ტირიფობა", "კონსტანტინეობა", "აბაშობა", "გიორგობა" და სხვა. ქართული ფოლკლორისა და ეთნოგრაფიული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით ქართული ხალხური სამოსის დღის აღნიშვნა. მოსწავლეთა მონაწილეობა სხვადასხვა სახის რესპუბლიკურ კონკურს- ფესტივალებზე. ღვაწლმოსილ აბაშელ ხელოვანებთან შეხვედრა, ცნობილი აბაშელი მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეების ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩატარება. შეხვედრა მწერლებთან, პოეტებთან, პროფესიული დღეების აღნიშვნა. აბაშის განვითარების იდეის მოწყობის ფარგლებში: სხვადასხვა სხის ღონისძიებების ჩატარება. ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში სხვადასხვა სახისა და თემატიკის ღონისძიებების გამართვა. საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის სხვადასხვა სახის კონკურსებისა და სემინარების ჩატარება. შემოქმედებით ჯგუფებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების სოლო კონცერტების ჩატარება. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი სხვადასხვა სახის დაგეგმილი და დაუგეგმავი ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა. თეატრის დღისადმი მიძღვმილი სხვადასხვა სახის ღონისძიებების მოწყობა. ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა კონცერტების, თემატური საღამოების მოწყობა, ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობა სხვადასხვა სახის კონკურს -ფესტივალებზე.სისტემატიური ზრუნვა ხელოვნების სკოლაში საგაკვეთილო პროცესებში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და შემდგომი ფართოდ გამოყენების მიზნით. მთ. ბიბლიოთეკაში, თემის ბიბლიოთეკებში საინფორმაციო- საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა, თემატური საღამოების ჩატარება. კულტურული ღონისძიებების განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებლობის ფარგლებში ონლაინ ჩატარება. მუზეუმებში შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებების ჩატარება, როგორიცაა "ღამე მუზეუმში". ტურისტული თვალსაზრისით მუზეუმებში და სხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისტორიული მნიშვნელობის მქონე ობიექტებზე სხვადასხვა სახის ღონისძიებების მოწყობა. მუნიციპალური ღონისძიებების ჩატარების ორგანიზება და მონაწილეობის მიღება. საშობაო საახალწლო ღონისძიებების მოწყობა. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების მაღალ აკადემიუ დონეზე ჩატარებისა და რეგიონალური, რესპუბლიკური და ასევე საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის შედეგად მიღებული სიგელები დიპლომები და ხელოვნების სკოლის დამამთავრებელი კლასის მოწმობები არის შედეგი მიღწეული წარმატებების და პროგრამით გათვალისწინებული მიზნების შედეგი. | | | |

| შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) |
|---|---|---|---|---|---|
| | 1 | კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრის, მთ. ბიბლიოთეკის, თემის | 2023 წლის ღონისძიებებში მონაწილეობა | 2024 წელს იგეგმება არანაკლებ | 2% |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ბიბლიოთეკებისა, კულტურის სახლების და მუზეუმების მიერ ჩატარებული ღონისძიებები, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კმაყოფილებას იწვევს, რისი მაჩვენებელიც არის მაღალი აქტიურობა კონცერტების, საღამოების და სხვადასხვა სახის ღონისძიებების გამართვის დროს | მიიღო მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 60 % | მოსახლეობის 55% ის მონაწილეობა დაგეგმილ ღონისძიებებში | |
| | 2 | ხელოვნების სკოლაში მოსწავლეთა კონტიგენტის ზრდა. | 2023 წელს მოსწავლეთა კონტიგენტი გაიზარდა 10 %-ით | იგეგმება 2024 წელს კონტიგენტის გაზრდა 15% | 2% |
| | 3 | ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდისა და მკითხველთა რაოდენობის ზრდა | 2023 წელს წიგნადი ფონდი გაიზარდა 5% ხოლო მკითხველთა რაოდენობა გაიზარდა 10% | 2024 წლისთვის წიგნადი ფონის 8% ზრდა და მკითხველთა რაოდენობა 20 % | 2% |
| | 4 | მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა | 2022 წელის ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა 8% | 2024 წლისთის ვიზიტორთა რაოდენობა გაიზრდება 30% | 2% |
| | 5 | კულტურის სახლებში ღონისძიებების დროს მაყურებელთა რაოდენობის ზრდა | 2023 წლის ჩატარებული ღონისძიებების შედეგად მაყურებელთა რაოდენობა გაიზარდა 20 % | 2024 წლისთვის მაყურებელთა რაოდენობა გაიზრდება 30% | 2% |

*ათას ლარში*

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 2024 წლის დაფინანსება | დაფინანსება 2025-2027 წწ |
|---|---|---|---|---|
| | **05 02 02** | | **38.0** | **102.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ ,,საინფორმაციო მაუწყებელი - აბაშის მაცნე" | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია დიდი იყოს გაზეთის როლი მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მუშაობაში, გაზეთის საშუალებით გაშუქდეს მიმდინარე ახალი ამბები, კულტურული და საზოგადოებრივი საკითხები. ასევე მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობა. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება. | | | |

| შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) |
|---|---|---|---|---|---|
| | 1 | ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება. ინფორმაციების გავრცელების აუცილებლობა. | 1000 ეგზემპლიარი | 1500 ეგზემპლიარი | 10% |

*ათას ლარში*

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სხვა კულტურული ღონისძიებები | 2024 წლის დაფინანსება | დაფინანსება 2025-2027 წწ |
|---|---|---|---|---|
| | **05 02 03** | | **50.0** | **150.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:<br>***კულტურული მემკვიდრეობის დღეები,** ჩატარდება საგანმანათლებლო ღონისძიებები (ლექცია-კონცერტი, ვიქტორინა, თემების პრეზენტაციები), მოეწყობა თემატური გამოფენები, ისტორიული ძეგლების მიმდებარე ტერიტორიების გაწმენდითი სამუშაოები, | | | |

| | |
|---|---|
| | მასტერკლასები.<br>მიზანი: წაახალისოს საზოგადოების მონაწილეობა და ჩართვა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში; მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცნობიერების ამაღლება.<br>***,,ვეფხისტყაოსნის" სამაგიდო თამაშის რაიონული ტურნირი**<br>ტურნირი ითვალისწინებს ლექციას, თამაშის ჩატარებას, გამარჯვებულების გამოვლენას, დაჯილდოვებას. სამაგიდო თამაში ტექსტის სიღრმისეულად გაგებისა და გათავისების ძალიან კარგი საშუალებაა და რუსთველისეულ სიტყვიერ სამყაროში მოგზაურობის უნიკალურ შესაძლებლობებს იძლევა, მისი მიზანი ,,,ვეფხისტყაოსნის'' პოპულარიზაცია და თანამედროვე ინტერაქტიულ გარემოში დაბრუნებაა.<br>***მიღწეული წარმატებებისათვის, დამსახურებისათვის, აბაშაში მცხოვრებ ხელოვანთა და კულტურის კულტურის სფეროს მოღვაწეთა, სახელოვნებო განათლების პედაგოგთა, მოსწავლეთა დაჯილდოვება.** მიზანი-აბაშაში მცხოვრებ, მოღვაწე ხელოვან ადამიანთა ღვაწლის დაფასება, ხელოვნების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაცია, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა.<br>***,,აბაშის საზაფხულო-საყმაწვილო კინო-სკოლა"**<br>*** მოძრავი კინოთეატრი** - ტექნიკური აღჭურვა.<br>მიზანი: კინოხელოვნების პოპულარიზაცია, კინოხელოვნების განათლების ხელშეწყობა.<br>***შემხვედრი ღონისძიებების ორგანიზება** - გულისხმობს იმ მასობრივი კულტურული ღონისძიებების მოწყობას/თანაორგანიზატორობას, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების გამრავლფეროვნებას, შემოქმედებითი, მათ შორის ადგილობრივი, ჯგუფების პოპულარიზაცის, მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდას.<br>**ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა**<br>პროექტის ფარგლებში იგეგმება ექსპერტებისა და მკვლევარების მოწვევა, მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ტურისტული პოტენციალის გამოვლენისა და განვითარებისთვის, ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავების შემდეგ (სამსახურთან ერთად) მომზადებული გეგმის მიხედვით მოხდება იმ მიმართულებების (ეკლესიები, კულინარია, სათავგადასავლო ტურიზმი და სხვა) განვითარება, რომელიც იქნება პრიორიტეტად განსაზღვრული და შევთავაზებთ ტურ-ოპერატორებს ტურისტული მარშუტების დასაგეგმად. |
| მოსალოდნელი შედეგი | * მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში მოსახლეობის ყველა სოციოლოგიური ფენის აქტიური მონაწილეობისა და ჩართულობის ზრდა.<br>*ადგილობრივი მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია, ცნობიერების ამაღლება.<br>შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების, სახელოვნებო განათლების მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება, ხელოვნების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაცია.<br>*მოსწავლე–ახალგაზრდებში ინტელექტუალური აქტივობებისადმი ინტერესის გაღვივება.<br>*კონოხელოვნებით დაინტერესებულთა რიცხოვნების ზრდა<br>*მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია.<br>ტურიზმის განვითარებისთვის სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბება |

შედეგის შეფასების ინდიკატორი

| # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა მომავალ თაობებს შეუნარჩუნებს კულტურულ მემკვიდრეობას, საგანმანათლებლო ღონისძიებები და აქტივობები ხელს შეუწყობს ცნობადობის ამაღლებას. | აბაშის მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე 10 ძეგლია. გვაქვს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიშნების მქონე ტრადიციები, ადათები, თქმულებები, ფოლკლორი. | მოქალაქეთა ჩართულობის გაფართოება, ცნობიერების ამაღლება; სკოლებსა და კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლების დაცვაზე პასუხისმგებელ პირებს შორის თანამშრომლობის მაჩვენებელის ზრდა. მოწესრიგებული საინფორმაციო ბაზები. | 10% გარემოებების გათვალისწინებით | ადგილობრივი მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის (ისტორიული ძეგლები, ოდები, ტრადიციები, თქმულებები, ფოლკლორი, გასტრონომია და სხვ.) ინოვაციური განვითარება, მოდერნიზაცია და წარმოჩენა; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | საინფორმაციო დაფების განთავსება |
| | 2 | მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი პოპულარობისა, თანამედროვე სამყაროში მაინც საჭიროა პოემის პოპულარიზაცია. | ლევან გელაშვილი (ფილოლოგი, კინომცოდნე, მწერალი) არის ავტორი პირველი ფერადი ილუსტრირებული “ვეფხისტყაოსნის” 30 -ზე მეტი სამაგიდო თამაშისა. მუნიციპალურ ტურნირზე წარმოდგენილი იქნება სამაგიდო თამაში (რუკის), აფორიზმების კუბიკ-რუბიკი, აფორიზმების ფაზლი-ლოტო (ფერადი პრინტით და ბრენდირებული ტომარით), ემოჯი აფორიზმები. | მოსწავლე–ახალგაზრდებში ინტელექტუალური აქტივობებისადმი ინტერესის გაღვივება. ,,ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაცია და თანამედროვე ინტერაქტიულ გარემოში დაბრუნება. | 10% გარემოებების გათვალისწინებით | ,,ვეფხისტყაოსანი“ ყველა ეპოქაში აქტუალური იყო. იგი არა მხოლოდ ლიტერატურულ, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც აყალიბებდა გემოვნებას, მსოფლმხედველობას. სამაგიდო თამაშები ტექსტის სიღრმისეულად გაგებისა და გათავისების ძალიან კარგი საშუალებაა. ეს ტურნირი მუნიციპალიტეტში პირველად ჩატარდება |
| | 3 | შემოქმედებით სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების, სახელოვნებო განათლების მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება, კულტურისა და ხელოვნების დარგების პოპულარიზაცია, განვითარება. | აბაშაში ცხოვრობენ და კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ პროფესიონალი, წარმატებული, ქვეყნის მასშტაბით ცნობილი ადამიანები, - მხატვრები, მოქანდაკეები, მუსიკოსები, ხელოვნების სკოლის პედაგოგები, მომღერლები, ქორეოგრაფები. გვყავს მრავალი საერთაშორისო კონკურს-ფესტივალების გამარჯვებული ნორჩი პიანისტები. | შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების, სახელოვნებო განათლების მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება. ამ სფეროებით დაინტერესებულთა რიცხოვნობის ზრდა. | 10% გარემოებების გათვალისწინებით | 2022 წელს მუნიციპალიტეტის მერიისაგან დაჯილდოვდნენ ხელოვნების წარმატებული სკოლის პედაგოგები |
| | 4 | 2015-2018 წლებში აბაშაში უპრეცენდენტო პროექტი განხორციელდა, ასოციაცია ,,სინერამას" მიერ აბაშის მუნიციპალიტეტის დაფინასებით მუშაობდა საზაფხულო საყმაწვილო კინოსკოლა, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი საჯარო სკოლების მოსწავლეები. | მუნიციპალიტეტში არსებობს პროექტის განხორციელების გამოცდილება. სხვადასხვა წლებში აბაშელი ნორჩი კინემატოგრაფისტების მიერ გადაღებულ მოკლემეტრაჟიან მხატვრულ, ანიმაციურ და დოკუმენტურ ფილმებს მოპოვებული აქვთ პრიზები საერთაშორიო კინოფესტივალებზე | კინოსკოლის ფარგლებში გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალებში ჩართვა, სხვადასხვა სინჯის პრიზების მოპოვება. კინოხელოვნების განათლების მიღების მსურველთა როცხოვნების ზრდა. მუნიციპალიტეტის ცნობადობის | 10% გარემოებების გათვალისწინებით | ორი კვირის განმავლობაში აბაშელ მოსწავლეებს საქართველოს კინოსა და თეატრის უნივერსიტეტის პროფესორები უტარებდნენ ლექციებს კინოს ისტორიაზე, რეჟისურაზე, სცენარის წერასა და სიუჟეტის განვითარებაზე, კინოპროდიუსინგზე. მოსწავლეები ეუფლებოდნენ კინო- |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ამაღლება | | საოპერატორო ხელოვნებას, კინოაპარატურის გაცნობა-მართვის უნარებს. პროექტის ფარგლებში საზაფხულო კინო-სკოლას სტუმრობდნენ და მოსწავლეებს მასტერკლასები ჩაუტარეს ცნობილმა კინორეჟისორებმა გიორგი ოვაშვილმა, მერაბ კოკოჩაშვილმა, ზაზა ხალვაშმა, მსახიობებმა. |
| | 5 | მოძრავი კინოთეატრი - თანამედროვე ტექნოლოგიებმა და ინტერნეტ სივრცის ხელმისაწვდომობამ ადამიანების უმეტესობა კომპიუტერს მიაჯაჭვა. ისინი თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს ვირტუალურ სამყაროში ატარებენ. კინოხელოვნების პოპულარიზაციასთან ერთად, პროექტის შედეგი მოსახლეობაში ურთიერთობის ხარისხს ამაღლებაა. | მუნიციპალიტეტის სოფლებში არის დახურული სივრცეები, სადაც საჭირო აღჭურვილობის არსებობის შემთხვევაში შეიძლება კინოფილმების ჩვენება. | კინოხელოვნების, ქართული კინოს, აბაშის სახაფხულო-საყნაწვილო კინოსკოლის ფარგლებში გადაღებული ფილმების პოპულარიზაცია. მოსახლეობის ჩართულობის ზრდა და მათი ერთ სივრცეში ურთიერთობის ხარისხის ამაღლება. | 10% გარემოებების გათვალისწინებით | რამოდენიმე ათეული წლის წინ ქალაქში ფუნქციონირებდა კინოთეატრი ,,რუსთაველი“. კინოჩვენებები ტარდებოდა კულტურის ცენტრში, სასოფლო კლუბებისა და კულტურის სახლების დარბაზებში. |
| | | შემხვედრი ღონისძიებები-მასშტაბური კულტურული ღონისძიებების ორგანიზება | აბაშის მუნიციპალიტეტის მერია არის ორგანიზატორი, თანაორგანიზატორი მრავალი მასშტაბური ღონისძიებისა, რომლებიც გამოირჩევიან შინაარსობრივი და ფორმითი მრავალფეროვნებით, დამსწრეთა მრავალრიცხოვნობით (მათი რაოდენობის მაჩვენებელი ზოგჯერ რამოდენიმე ათასია). | შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია, მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში, სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობის ზრდა. მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება | 10% გარემოებების გათვალისწინებით | |
| | 6 | კვლევების ჩატარება ტურიზმის განვითარების პრიორიტეტების | ეკლესიები და მუზეუმები | ტურისტული პოტენციალის გამოვლენა; ვიზიტიორთა და ტურისტთა | 10% გარემოებების გათვალისწინებით | ექსპერტებისა და მკვლევარების მოწვევა, რომლებიც დაგვეხმარება |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | შესაქმნელად | | რაოდენობის ზრდა | | სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში და შემდეგ განსაზრვული პრიორიტეტების მიხედვით დამატებით კვლევების ჩატარება; ტურიზმის განვითარება დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ გაძლიერებაზე. |

*ათას ლარში*

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | | 2024 წლის დაფინანსება | დაფინანსება 2025-2027 წწ |
|---|---|---|---|---|---|
| | **05 02 04** | | | **50.0** | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახური; | | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | რელიგიური ორგანიზაციათა კანონით ნებადართული აქტივების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა ფინანსური ხელშეწყობის უზრუნველყოფა. | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ეკლესიის როლის გაძლიერება საზოგადოების ფართო ფენისთვის, მაღალი მორალურ - ზნეობრივი სულისკვეთების ფორმირებაში. | | | | |

| შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | | | | |

*ათას ლარში*

| პროგრამის დასახელება | კოდი | **ახალგაზრდობის მხარდაჭერა** | 2024 წლის დაფინანსება | დაფინანსება 2025-2027 წწ |
|---|---|---|---|---|
| | **05 03** | | **20.0** | **60.0** |
| პროგრამის განმახორციელებელი | განათლების სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ახალგაზრდების როლის ზრდა ახალგაზრდული პროექტების დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ადგილობრივი თვითმმართველობის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ახალგაზრდების მიერ მხარდაჭერილი/წარდგენილი პროექტების ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან ფინანსური/ტექნიკური საშუალებების უზრუნველყოფით განხორციელებულ პროექტების ზრდა. მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება და ხელშეწყობა. | | | |

| შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|

